# გორის მუნიციპალიტეტის

## საკრებულო

## განკარგულება № 115

2022 წლის 10 ივნისი
ქ.გორი

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2021 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2021 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2021 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის ).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**

წერილის ნომერი: **20-2022140146**
თარიღი: **20/05/2022**

**ადრესატი:** გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** გორი, სტალინის გამზ. N16


თქვენი 2022 წლის 16 მაისის N21-21221361 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში, 2021 წლის ნოემბრის თვეში მიმდინარეობდა საშემოდგომო გაწვევა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც საქართველოს მთავრობის 26 ივლისის N375-ე დადგენილების თანახმად, კანონის შესაბამისად, დაიწყო 2 აგვისტოს და გაგრძელდა 25 დეკემბრამდე.

გაწვევის პერიოდში, საქართველოს წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში, ჩაყვანილია -214 წვევამდელი, საიდანაც გამწვევი-სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ გაწვეული იქნა-101, ნაწილი წვევამდელების დაბრუნდა უკან, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიან სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა-21, ალტერნატიულ-შრომით სამსახურში-4 წვევამდელი.

გამოცხადებული წვევამდელებიდან, საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე,"სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის 29-ე და 30-ე მუხლების თანახმად, გაწვევიდან გათავისუფლდა ან გადაევადა გაწვევა-1042 წვევამდელს, საიდანაც გადავადებისათვის გათვალისწინებული მოსაკრებელი 2000 (ორი ათასი) ლარი გადაიხადა 6-მა წვევამდელმა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა-12 000 (თორმეტი ათასი) ლარი;

ე.წ. "ბიბლიური თავისუფლება"- "გირჩი"-ს მოწმობა წარმოადგინა-162-მა წვევამდელმა.

გამოძახებული წვევამდელებიდან ნაწილი, მიუხედავად მრავალჯერადი გაფრთხილებისა, თავს არიდებდა გამწვევ-სამედიცინო კომისიაზე გამოცხადებას, რის გამოც, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საჭირო ზომების მისაღებად, მომზადდა და 131 წვევამდელის სახელობითი სია, გადაეცა გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის განყოფილებებს, ხოლო "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესახებ" კანონის საფუძველზე, 25 წვევამდელის საჭირო მასალები, გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს, საიდანაც 1000 (ათასი) ლარით დაჯარიმდა 9 წვევამდელი.

გაწვევის პერიოდში, ეტაპობრივად მიმდინარეობდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასულ წვევამდელებთან დაკავშირებით, ინფორმაციის მოძიება.

2021 წლის ნოემბრის თვეში მიმდინარეობდა აგრეთვე მზადება, 2005 წელს დაბადებული მოქალაქეების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად. ამ მიზნით მომზადდა საერთო სია და დოკუმენტაცია.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში, გასული წლის ბოლომდე მიმდინარეობდა:

-რეკრუტების საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში გაწვევა;

-ზღვრული ასაკის მოხსნა და რეზერვში ჩარიცხვა, მოქალაქეების რეზერვის საერთო აღრიცხვაზე აყვანა;

-რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, სააღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-გაგზავნა;

-მოთხოვნის შესაბამისად, მოქალაქეებზე სააღრიცხვო მოწმობების დამზადება-გაცემა;

-დოკუმენტაციის დაარქივება და სხვა.

2022 წლის იანვრის დასაწყისში მოხდა 18-დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელთა კართოთეკის გადაწყობა-დათვლა, შეჯამდა 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის შედეგები და ანგარიში მიეწოდა საქართველოს რეგიონულური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

იანვრის თვეში, საგაზაფხულო გაწვევისათვის, მომზადდა გამოძახების უწყებები და სახელობითი სიები.

მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის თვეში, მიმდინარეობდა აგრეთვე, 2005 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. ამ მიზნით მიღებული და აღიცხვაზე აყვანილი იქნა- 621 ჭაბუკი.

მიწერის პარალელურად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2022 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო საგაზაფხულო გაწვევა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც გრძელდება 30.06.2022წ.-მდე.

გაწვევის დაწყებისთანავე, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურმა, მომზადებული უწყებების მიხედვით, დაიწყო წვევამდელების გამოძახება. გამოცხადებულ წვევამდელებთან მიმდინარეობს გასაუბრება-შესწავლა და გადაწყვეტილების გამოტანა.

ამ ეტაპზე, წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ჩაყვანილია -155 წვევამდელი, საიდანაც, გამწვევი-სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ, სხვადასხვა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში ჩაირიცხა- 60 წვევამდელი.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიან სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში, ჩარიცხულია-6, ალტერნატიულ-შრომით სამსახურში-1 წვევამდელი, ხოლო 6 წვევამდელზე მომზადებული დოკუმენტაცია, გადაგზავნილია დასაქმების სახელმწიფო დეპარტამენტში, სახელმწიფო კომისიაზე განსახილველად.

"სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის 29-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე, გაწვევიდან გათავისუფლდა ან გადაევადა გაწვევა-1054 წვევამდელს. აქედან, გადავადებისათვის გათვალისწინებული მოსაკრებელი-2000 (ორი ათასი) ლარი გადაიხადა 7-მა წვევამდელმა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა- 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარი;

ე.წ. "ბიბლიური თავისუფლება"-"გირჩი"-ს მიერ გაცემული მოწმობა წარმოადგინა-253-მა წვევამდელმა.

გამოუცხადებელი 225 წვევამდელის სახელობითი სია, გადაეცა გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის განყოფილებებს, ხოლო 129 წვევამდელის მასალები -გორის რაიონულ სასამართლოს, საიდანაც დაჯარიმდა- 23 წვევამდელი.

დღეის მდგომარეობით, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასული წვევამდელების შესახებ ინფორმაცია, შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ დადასტურებულია 123 წვევამდელზე.

გარდა სავალდებული სამსახურში გაწვევისა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში, სათანადო მომართვების საფუძველზე, კვლავ მიმდინარეობს რეკრუტების გაწვევა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში.

წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ მიმდინარეობს აგრეთვე, მოქალაქეების რეზერვისტთა საერთო აღრიცხვაზე აყვანა. ამჟამად აღრიცხვაზე აყვანილია-262 რეზერვისტი.

რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, აღრიცხვიდან მოიხსნა და შესაბამისი რაიონების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურებში გადაიგზავნა-102, ხოლო იგივე მიზეზით, მიღებული იქნა -73 წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

მოთხოვნის შეაბამისად, დამზადდა და გაიცა რეზერვისტის -81 , ხოლო წვევამდელის-26 სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა.

სააღრიცხვო დოკუმენტაციის განმეორებით დამზადების მიზნით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის საფუძველზე, 50 (ორმოცდა ათი) ლარით დაჯარიმდა -9 მოქალაქე და ბიუჯეტში ჩაირიცხა- 450 ლარი.

ამრიგად, ყოველივე ზ/აღნიშნული არის ის ძირითადი სამუშაოები, რაც ჩაატარა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურმა 2021 წლის ნოემბრის თვიდან დღემდე და კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, დავალებების შესასრულებლად.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი